# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №479

## 2021 წლის 28 სექტემბერი

## ქ. თბილისი

### „ტექნიკური რეგლამენტი – სურსათში/სურსათზე და/ან წარმოებული შესაბოლი არომატიზატორების წარმოებისათვის გამოსაყენებლად (ავტორიზებული) დაშვებული შესაბოლი არომატიზატორების პირველადი პროდუქტების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე

**მუხლი 1**
სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი – სურსათში/სურსათზე და/ან წარმოებული შესაბოლი არომატიზატორების წარმოებისათვის გამოსაყენებლად (ავტორიზებული) დაშვებული შესაბოლი არომატიზატორების პირველადი პროდუქტების შესახებ“.

**მუხლი 2**
არომატული ნივთიერებების შემცველი სურსათი, რომელიც განთავსებულია ბაზარზე ამ დადგენილების ამოქმედებამდე და არ შეესაბამება ამავე დადგენილებით დამტკიცებული დანართის – „სურსათში/სურსათზე გამოსაყენებლად და/ან წარმოებული შესაბოლი არომატიზატორების მისაღებად/წარმოებისათვის დაშვებული (ავტორიზებული) წარმოებული შესაბოლი არომატიზატორების პირველადი პროდუქტების სიით“ განსაზღვრულ მოთხოვნებს, დასაშვებია ბაზარზე განთავსებულ იქნეს „ვარგისიანობის მინიმალური ვადის“ ან „გამოყენებამდე ვადის“ გასვლამდე.

**მუხლი 3**
დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

### ტექნიკური რეგლამენტი – სურსათში/სურსათზე და/ან წარმოებული შესაბოლი არომატიზატორების წარმოებისათვის გამოსაყენებლად (ავტორიზებული) დაშვებული შესაბოლი არომატიზატორების პირველადი პროდუქტების შესახებ

**მუხლი 1. მიზანი და გამოყენების სფერო**
1. „ტექნიკური რეგლამენტი – სურსათში/სურსათზე და/ან წარმოებული შესაბოლი არომატიზატორების წარმოებისათვის გამოსაყენებლად (ავტორიზებული) დაშვებული პირველადი პროდუქტების შესახებ" (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) მიზნად ისახავს ადამიანის ჯანმრთელობის და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, სურსათით ვაჭრობასთან დაკავშირებულ სამართლიანი პრაქტიკის დაცვას და საჭიროების შემთხვევაში გარემოს დაცვას.

2. სურსათში/სურსათზე და/ან წარმოებული შესაბოლი არომატიზატორების წარმოებისათვის გამოსაყენებლად დაშვებული (ავტორიზებული) შესაბოლი არომატიზატორების პირველადი პროდუქტების სია განსაზღვრულია დანართით.

3. ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული სურსათში/სურსათზე და /ან წარმოებული შესაბოლი არომატიზატორების წარმოებისათვის გამოსაყენებლად ავტორიზებული (დაშვებული) შესაბოლი არომატიზატორების პირველადი პროდუქტები უნდა აკმაყოფილებდნენ „ტექნიკური რეგლამენტი – სურსათში/სურსათზე გამოსაყენებელი არომატიზატორებისა და არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 აგვისტოს N497 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ ტექნიკური რეგლამენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **შესაბოლი არომატიზატორი** – პროდუქტი, რომელიც მიიღება ბოლის (კვამლის) კონდენსატის ფრაქციებად დაყოფითა და გაწმენდა-გასუფთავებით, პირველადი შესაბოლი კონდენსატის, პირველადი ფისების (კუპრის) ფრაქციის და/ან წარმოებული შესაბოლი არომატიზატორების წარმოქმნით, მათ შორის:

ა.ა) ბოლის (კვამლის) პირველადი კონდენსატი, რომელიც წარმოადგენს წყლის საფუძველზე წარმოქმნილი კონდენსირებული ბოლის (კვამლის) გაწმენდილ-გასუფთავებულ ნაწილს;

ა.ბ) ცვილის (ფისის, კუპრის) პირველადი ფრაქცია, რომელიც წარმოადგენს კონდენსირებული ბოლის (კვამლის) მაღალი სიმკვრივის მქონე ცვილის (ფისის, კუპრის) წყალში უხსნადი ფაზის გაწმენდილ-გასუფთავებულ ფრაქციას;

ა.გ) წარმოებული შესაბოლი არომატიზატორები, რომლებიც მიეკუთვნება არომატიზატორებს, მათი წარმოება ხდება პირველადი პროდუქტების შემდგომი გადამუშავებით და რომლებიც გამოიყენება ან განკუთვნილია სურსათში/სურსათზე გამოყენებისათვის, ან სურსათისათვის ბოლის (კვამლის) გემოს მისაცემად.

ბ) **ჩვილი ბავშვი (Infant)** - ბავშვი დაბადებიდან ერთი წლის (12 თვის) ჩათვლით;

გ) **ადრეული/უმცროსი ასაკის ბავშვი (Young children)** - ბავშვი 1 წლიდან (12 თვიდან) 3 წლის (36 თვის) ჩათვლით;

დ) **ფორმულა ჩვილი ბავშვისათვის (Infant Formulae)** - ჩვილ ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათი, რომელიც გამოიყენება განსაკუთრებული კვებითი დანიშნულებით ბავშვის სიცოცხლის პირველ თვეებში და სრულად აკმაყოფილებს ამ ასაკის ბავშვთა კვებით მოთხოვნებს შესაბამისი დამატებითი კვების მიცემამდე;

ე) **მარცვლოვნების ფუძეზე (საფუძველზე) წარმოებული სურსათი (processed cereal-based foods)** – მარცვლოვანი კულტურების გადამუშავებით წარმოებული სურსათი, რომელიც განკუთვნილია ჯანმრთელი ჩვილი ბავშვების განსაკუთრებული კვებითი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ძუძუთი კვების შეწყვეტის შემდეგ და ადრეული ასაკის ჯანმრთელი ბავშვთა კვების რაციონზე დამატების სახით და/ან მათი ჩვეულებრივ საკვებთან თანდათანობით შეგუებისათვის; მას მიეკუთვნება მარტივი სურსათი, რომელთა აღდგენა ხდება რძით ან სხვა სათანადო საკვები სითხით, ასევე მარცვლოვანი კულტურებისგან წარმოებული სურსათი, რომელთაც დამატებული აქვთ ცილის მაღალი შემცველობის მქონე სურსათი და რომელთა აღდგენა ხდება წყლით ან ცილისაგან თავისუფალი სათანადო სითხით, მაკარონის ნაწარმი (პასტა), რომელთა გამოყენება შესაძლებელია ადუღებულ წყალში ან სხვა სათანადო სითხეში მოხარშვის შემდეგ და ასევე ბისკვიტები (მშრალი ნამცხვარი) და ორცხობილები, რომელთა გამოყენება ხდება უშუალოდ ან რძის, წყლის ან სხვა სათანადო სითხით დალბობის შემდეგ;

ვ) **ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი (baby foods)** - სურსათი, რომელიც განკუთვნილია ჯანმრთელი ჩვილი ბავშვების განსაკუთრებული კვებითი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ძუძუთი კვების შეწყვეტის შემდეგ და ადრეული/უმცროსი ასაკის ჯანმრთელ ბავშვთა კვების რაციონზე დამატების სახით და/ან მათი ჩვეულებრივ საკვებთან თანდათანობით შეგუებისათვის, გარდა:

ვ.ა) მარცვლოვნების ფუძეზე (საფუძველზე) წარმოებული სურსათისა;

ვ.ბ) რძეზე დამზადებული სასმელისა და მსგავსი სურსათისა, რომელიც განკუთვნილია ადრეული/უმცროსი ასაკის ბავშვთა კვებისათვის;

ზ) **განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულების სურსათი** (**special medical purposes foods**) - სურსათი, რომელიც სპეციალურად გადამუშავდა ან სპეციალური შედგენილობისაა და განკუთვნილია ექიმის ზედამხედველობით იმ პაციენტების დიეტურ თერაპიაში გამოყენებისათვის, რომელთაც დაქვეითებული ან შეზღუდული აქვთ ჩვეულებრივი სურსათის, ან სურსათის შემადგენელი ზოგიერთი კვებითი ელემენტის, ან მათი მეტაბოლიტების მიღების, შეთვისების, გადამუშავების, ადსორბციის და ორგანიზმიდან გამოდევნის ფუნქციონალური უნარი. იგი გამოიყენება ასევე იმ პაციენტებისათვის, რომელთა დიეტური თერაპია ვერ განხორციელდება ჩვეულებრივი რაციონის შეცვლით, ასევე სხვა განსაკუთრებული კვებითი დანიშნულების სურსათით ან მათი კომბინაციით;

თ) **განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულების დიეტური სურსათი ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისათვის (dietary foods for special medical purposes intended for infants and young children)** - სურსათი, რომელიც თავისი შემადგენლობითა და წარმოების პროცესით მკვეთრად განსხვავდება ჩვეულებრივი შემადგენლობის მქონე სურსათისაგან, განკუთვნილია დიეტურ კვებაში გამოყენებისათვის, ბაზარზე განთავსებულია ეტიკეტით, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სურსათის დიეტური დანიშნულებით გამოყენების შესახებ და განკუთვნილია ჯანმრთელი ჩვილი და ადრეული/უმცროსი ასაკის ბავშვთათვის;

ი) **ხორცის ნახევარფაბრიკატი /დამზადებული ხორცი (processed meat)** – ახალი ხორცი, მათ შორის, ფრაგმენტებად დანაწევრებული ხორცი, რომელსაც დაემატა საკვები საშუალებები, სუნელ-სანელებლები ან სხვა ნივთიერებები, ან რომელმაც გაიარა გადამუშავების არასაკმარისი პროცესი იმგვარად, რომ ხორცის შიდა კუნთოვან ქსოვილის ბოჭკოს არ დაუკარგავს ახალი ხორცისთვის დამახასიათებელი სტრუქტურა;

კ) **თევზჭერის შედეგად მიღებული პროდუქტი (შემდგომ – თევზჭერის პროდუქტი)** – ზღვასა და მტკნარ წყლებში მოპოვებული გარეული ან მოშენებული ცხოველები და მათი საკვებად გამოსაყენებელი ნაწილები (ცოცხალი ორსაგდულიანი მოლუსკების, ცოცხალი კანეკლოვანების, ცოცხალი ტუნიკატების, ზღვის ცოცხალი მუცელფეხოვანი მოლუსკების, ყველა ძუძუმწოვრის, ცივსისხლიანისა და ბაყაყის გარდა).

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ტერმინებისა, ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის ასევე გამოიყენება „ტექნიკური რეგლამენტი – სურსათში/სურსათზე გამოსაყენებელი არომატიზატორებისა და არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 აგვისტოს N497 დადგენილებით განსაზღვრული ტერმინები.

**დანართი**

**სურსათში/სურსათზე გამოსაყენებლად და/ან წარმოებული შესაბოლი არომატიზატორების მისაღებად/წარმოებისათვის დაშვებული (ავტორიზებული)**

**წარმოებული შესაბოლი არომატიზატორების პირველადი პროდუქტების სია**

**მინიშნება 1.** მაქსიმალური დონეები არის ბაზარზე განთავსებულ სურსათში/სურსათზე არსებული დონეები. ამ პრინციპიდან გამონაკლისია მშრალი და/ან კონცენტრირებული სურსათი, რომელიც ექვემდებარება აუცილებელ აღდგენას; ამ შემთხვევაში მაქსიმალური დონე გამოყენებული უნდა იქნეს ეტიკეტზე განთავსებული ინსტრუქციის შესაბამისად აღდგენილი სურსათისათვის, გაზავების მინიმალური კოეფიციენტის გათვალისწინებით. თუ წარმოებული შესაბოლი არომატიზატორების მისაღებად/წარმოებისათვის გამოიყენება პირველადი პროდუქტები, მაქსიმალური დონეები შესაბამისად უნდა იქნეს კორექტირებული.

**მინიშნება 2.** თუ სურსათში/სურსათზე გამოიყენება კომბინირებული შესაბოლი არომატიზატორები, თითოეული მათგანის ინდივიდუალური რაოდენობა შემცირებული უნდა იქნეს პროპორციულად.

**მინიშნება 3.** თუ შესაბოლი არომატიზატორი დაშვებულია გადამუშავებულ ხორცში (სურსათის კატეგორია 08.2.) ან გადამუშავებული თევზისა და თევზჭერის პროდუქტში (სურსათის კატეგორია 09.2.) გამოყენებისათვის და ამ პროდუქტების შებოლვა ხდება შესაბოლ კამერაში არომატიზატორების კვამლის რეგენერაციით, მათი გამოყენება უნდა მოხდეს კარგი საწარმო პრაქტიკის შესაბამისად.

**მინიშნება 4.** შესაბოლი არომატიზატორების არსებობა დაშვებულია:

ა) შედგენილ (კომბინირებულ) სურსათში, გარდა ამ დანართით განსაზღვრული სურსათისა, თუ პირველადი პროდუქტი, შედგენილი სურსათის ერთ-ერთ ინგრედიენტში, გამოსაყენებლად მაინც არის დაშვებული;

ბ) სურსათში, რომელიც სრულად უნდა იქნეს გამოყენებული შედგენილი (კომბინირებული) სურსათის დამზადებისათვის იმ პირობით, თუ შედგენილი (კომბინირებული) სურსათი შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

**შენიშვნა:** მოთხოვნები არ ვრცელდება ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ შემდეგ სურსათზე – „ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის“, „ჩვილ ბავშვთა დამატებითი კვებისათვის განკუთვნილი ფორმულა“, „მარცვლოვნების ფუძეზე (საფუძველზე) წარმოებული სურსათი“, „ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათი“ და „განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულების დიეტური სურსათი ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისათვის“.

| | |
|---|---|
| უნიკალური კოდი | SF-001 |
| პროდუქტის დასახელება | სკანსმოკი PB 1110 (Scansmoke PB 1110) |
| ავტორიზაციის მფლობელის დასახელება | Azelis Denmark A/S<br><br>2800 Lyngby<br><br>დანია |
| ავტორიზაციის მფლობელის მისამართი | Lundtoftegaardsvej 95 |
| პროდუქტის აღწერა და დახასიათება | *1. საწყისი მასალები:*<br><br>- 90 % ევროპული წიფელი (Fagus sylvatica),<br><br>- 10 % მუხა (Quercus alba)<br><br>*2.სპეციფიკაციები:*<br><br>- pH: 2,1 - 2,9<br><br>- წყალი: 47,0 - 56,0%<br><br>- მჟავა% ( ძმარმჟავით გამოხატული): 8 - 12%<br><br>- კარბონილის ნაერთები: 17 - 25%<br><br>- ფენოლები (როგორც სირინგოლი, მგ / გ): 10,5 - 20,1<br><br>*3. სისუფთავის კრიტერიუმები:*<br><br>- ტყვია: <5,0 მგ / კგ |

| | | |
|---|---|---|
| | - დარიშხანი: <3,0 მგ / კგ<br><br>- კადმიუმი: <1,0 მგ / კგ<br><br>- ვერცხლისწყალი: <1,0 მგ / კგ | |
| გამოყენების პირობები | სურსათის კატეგორია | მაქსიმალური დონე (გ/კგ) |
| | 01.7. ყველი და ყველის  პროდუქტები | 2,0 |
| | 02. ცხიმები და ზეთები და ცხიმისა  და ზეთის ემულსიები | 0,002 |
| | 03. საკვებად განკუთვნილი ყინული | 0,005 |
| | 05.   საკონდიტრო ნაწარმი | 0,5 |
| | 08.1.2. ხორცის ნახევარფაბრიკატი/ დამზადებული ხორცი | 2,0 |
| | 08.2. გადამუშავებული ხორცი | 2,0 |
| | 09.2. გადამუშავებული თევზი და თევზჭერის პროდუქტი, მოლუსკებისა და კიბოსნაირების ჩათვლით | 2,0 |
| | 09.3. თევზის ქვირითი (ხიზილალა) | 2,0 |
| | 12.2. მწვანილი, სანელებლები, სუნელები | 2,3 |
| | 12.5.სუპები და ბულიონები | 0,23 |
| | 12.6. სოუსები | 1,0 |
| | 12.7. სალათები და არტომატული სპრედები ბუტერბროდისათვის | 0,23 |
| | 14.1. უალკოჰოლო სასმელები | 0,02 |
| | 14.2. ალკოჰოლიანი სასმელები, მათ შორის მათი უალკოჰოლო ან დაბალალკოჰოლიანი შემცვლელები (ანალოგები) | 0,02 |
| | 15. მოხმარებისათვის მზა საუზმე (წასახემსებელი) და სნეკი (მსუბუქი საუზმე) | 2,0 |
| პროდუქტის ავტორიზაციის თარიღი | 2014 წლის პირველი იანვარი | |
| პროდუქტის ავტორიზაციის ვადა | 2024 წლის პირველი იანვარი | |
| უნიკალური კოდი | SF-002 | |
| პროდუქტის დასახელება | ზესტი სმოკი კოდი 10 (Zesti Smoke Code 10) | |
| ავტორიზაციის მფლობელის დასახელება | Mastertaste | |
| ავტორიზაციის მფლობელის მისამართი | Draycott Mills Cam, Dursley, Gloucestershire GL11 5NA,  გაერთიანებული სამეფო | |
| | *1. საწყისი მასალები:* | |

| | | |
|---|---|---|
| პროდუქტის აღწერა და დახასიათება | - 50-60 % ჰიკორი (ოვალური თხილი - Carya ovata)<br>-40-50 % მუხა (Quercus alba)<br>*2.სპეციფიკაციები:*<br>- pH: 2,0 - 2,5<br>- წყალი: 62,3 – 65,7 %<br>- მჟავა% ( ძმარმჟავით გამოხატული): 10,5 – 11 %<br>- კარბონილის ნაერთები (გ/100 მლ) : 15 - 25%<br>- ფენოლები (მგ / მლ): 12 - 22<br>*3. სისუფთავის კრიტერიუმები:*<br>- ტყვია: < 5,0 მგ / კგ<br>- დარიშხანი: < 3,0 მგ / კგ<br>- კადმიუმი: < 1,0 მგ / კგ<br>- ვერცხლისწყალი: <1,0 მგ / კგ | |
| გამოყენების პირობები | სურსათის კატეგორია | მაქსიმალური დონე (გ/კგ) |
| | 01.7. ყველი და ყველის პროდუქტები | 0,50 |
| | 01.8. რძის ანალოგები, მათ შორის გამათეთრებლები სასმელებში გამოსაყენებლად (გრანულები ან თხევადი ფორმით) | 0,50 |
| | 04.2. ხილი და ბოსტნეული გადამუშავებული | 0,30 |
| | 08.1.2. ხორცის ნახევარფაბრიკატი/ დამზადებული ხორცი | 2,5 |
| | 08.2. გადამუშავებული ხორცი | 2,5 |
| | 09.2. გადამუშავებული თევზი და თევზჭერის პროდუქტი, მოლუსკებისა და კიბოსნაირების ჩათვლით | 2,0 |
| | 09.3. თევზის ქვირითი (ხიზილალა) | 2,0 |
| | 12.2. მწვანილი, სანელებლები, სუნელები | 3,0 |
| | 12.5. სუპები და ბულიონები | 0,30 |
| | 12.6. სოუსები | 1,0 |
| | 12.9. ცილოვანი პროდუქტები, გარდა 01.8 კატეგორიით განსაზღვრული პროდუქტებისა | 1,0 |
| | 15.მოხმარებისათვის მზა საუზმე (წასახემსებელი) და სნეკი (მსუბუქი საუზმე ) | 3,0 |
| პროდუქტის ავტორიზაციის თარიღი | 2014 წლის პირველი იანვარი | |
| პროდუქტის ავტორიზაციის ვადა | 2024 წლის პირველი იანვარი | |

| | | |
|---|---|---|
| უნიკალური კოდი | SF-003 | |
| პროდუქტის დასახელება | სმოკ კონცენტრატი 809045 (Smoke Concentrate 809045) | |
| ავტორიზაციის მფლობელის დასახელება | Symrise AG | |
| ავტორიზაციის მფლობელის მისამართი | Mühlenfeldstraße 1 37603, Holzminden, გერმანია | |
| პროდუქტის აღწერა და დახასიათება | *1. საწყისი მასალა*<br><br>ევროპული წიფელი (Fagus sylvatica),<br><br>*2.სპეციფიკაციები:*<br><br>- pH: 2,0 – 3,0<br><br>- წყალი: 5 – 15 %<br><br>- მჟავა% ( ძმარმჟავით გამოხატული): 8 – 15 %<br><br>- კარბონილის ნაერთები : 10 - 20%<br><br>- ფენოლები : 0,2 – 0,6 %<br><br>*3. სისუფთავის კრიტერიუმები:*<br><br>- ტყვია: < 5,0 მგ / კგ<br><br>- დარიშხანი: < 3,0 მგ / კგ<br><br>- კადმიუმი: < 1,0 მგ / კგ<br><br>- ვერცხლისწყალი: <1,0 მგ / კგ | |
| გამოყენების პირობები | სურსათის კატეგორია | მაქსიმალური დონე (გ/კგ) |
| | 01.რძის პროდუქტები და მათი ანალოგები | 0,50 |
| | 04.2.ხილი და ბოსტნეული გადამუშავებული | 0,30 |
| | 06.4.5. მაკარონის ნაწარმი შიგთავსით (რავიოლი და მსგავსი) | 1,0 |
| | 07.1. პური და ფუნთუშეული | 0,60 |
| | 07.2. კაზმული პურფუნთუშეულის ნაწარმი | 0,60 |
| | 08. ხორცი | 0,60 |
| | 09.2. გადამუშავებული თევზი და თევზჭერის პროდუქტი მოლუსკებისა და კიბოსნაირების ჩათვლით | 0,60 |
| | 09.3. თევზის ქვირითი (ხიზილალა) | 0,60 |
| | 12.2. მწვანილი, სანელებლები, სუნელები | 3,0 |
| | 12.5. სუპები და ბულიონები | 0,60 |
| | 12.6. სოუსები | 4,0 |
| | 12.7. სალათები და არომატიზებული სპრედები | |

| | | |
|---|---|---|
| | სენდვიჩისათვის | 1,0 |
| | 12.9. ცილოვანი პროდუქტები, გარდა 01.8 კატეგორიით განსაზღვრული პროდუქტებისა | 1,0 |
| | 15. მოხმარებისათვის მზა საუზმე (წასახემსებელი) და სნეკი (მსუბუქი საუზმე ) | 3,0 |
| პროდუქტის ავტორიზაციის თარიღი | 2014 წლის პირველი იანვარი | |
| პროდუქტის ავტორიზაციის ვადა | 2024 წლის პირველი იანვარი | |
| უნიკალური კოდი | SF-004 | |
| პროდუქტის დასახელება | სკანსმოკ SEF 7525 (Scansmoke SEF 7525) | |
| ავტორიზაციის მფლობელის დასახელება | Azelis Denmark A/S | |
| ავტორიზაციის მფლობელის მისამართი | Lundtoftegaardsvej 95, 2800 Lyngby, დანია | |
| პროდუქტის აღწერა და დახასიათება | *1. საწყისი მასალები:*<br>-35 % წითელი მუხა (Quercus rubra),<br>-35 % თეთრი მუხა (Quercus alba),<br>-10 % შაქრის ნეკერჩხალი (Acer saccharum),<br>-10 % წიფელი (Fagus grandifolia)<br>- 10 % ჰიკორი (ოვალური თხილი) (Carya ovata)<br>*2.სპეციფიკაციები:*<br>- წყალი: 0,3 – 0,9 wt. %<br>- მჟავა (ძმარმჟავით გამოხატული): 0,09 – 0,25 meq/g<br>- კარბონილის ნაერთები (გ/100 მლ) : –1.2-3.0 wt. %<br>- ფენოლები (მგ/მლ) : wt. 8-12 %<br>*3. სისუფთავის კრიტერიუმები:*<br>- ტყვია: < 5,0 მგ / კგ<br>- დარიშხანი: < 3,0 მგ / კგ<br>- კადმიუმი: < 1,0 მგ / კგ<br>- ვერცხლისწყალი: <1,0 მგ / კგ | |
| | სურსათის კატეგორია | მაქსიმალური დონე (გ/კგ) |
| | 01. რძის ნაწარმი და ანალოგიური პროდუქტები | 0,16 |

| | | |
|---|---|---|
| გამოყენების პირობები | 02. ცხიმები და ზეთები. ცხიმისა და ზეთის ემულსიები | 0,05 |
| | 04.2. ხილი და ბოსტნეული გადამუშავებული | 0,05 |
| | 05. საკონდიტრო ნაწარმი | 0,08 |
| | 06. მარცვლოვნები და მარცვლოვნების პროდუქტები (ბურღული) | 0,05 |
| | 07.1. პური და ფუნთუშეული | 0,08 |
| | 07.2. კაზმული პურფუნთუშეულის ნაწარმი | 0,08 |
| | 08. ხორცი | 0,16 |
| | 09.2. გადამუშავებული თევზი და თევზჭერის პროდუქტი მოლუსკებისა და კიბოსნაირების ჩათვლით | 0,16 |
| | 09.3. თევზის ქვირითი (ხიზილალა) | 0,16 |
| | 10.2. გადამუშავებული კვერცხი და კვერცხის პროდუქტები | 0,05 |
| | 12.2. მწვანილი, სანელებლები, სუნელები | 0,18 |
| | 12.5. სუპები და ბულიონები | 0,05 |
| | 12.6. სოუსები | 0,05 |
| | 12.7. სალათები და არომატიზებული სპრედები სენდვიჩისათვის | 0,05 |
| | 12.9. ცილოვანი პროდუქტები, გარდა 01.8 კატეგორიით განსაზღვრული პროდუქტებისა | 0,05 |
| | 14.1. უალკოჰოლო სასმელები | 0,05 |
| | 14.2. ალკოჰოლიანი სასმელები, მათ შორის მათი უალკოჰოლო ან დაბალალკოჰოლიანი შემცვლელები (ანალოგები) | 0,05 |
| | 15. მოხმარებისათვის მზა საუზმე (წასახემსებელი) და სნეკი (მსუბუქი საუზმე) | 0,08 |
| პროდუქტის ავტორიზაციის თარიღი | 2014 წლის პირველი იანვარი | |
| პროდუქტის ავტორიზაციის ვადა | 2024 წლის პირველი იანვარი | |
| უნიკალური კოდი | SF-005 | |
| პროდუქტის დასახელება | სმოკეზ ც-10 (SmokEz C-10) | |
| ავტორიზაციის მფლობელის დასახელება | Red Arrow Products Company LLC | |
| ავტორიზაციის მფლობელის მისამართი | P.O. Box 1537<br><br>633 South 20th street | |

| | | |
|---|---|---|
| | Manitowoc, WI 54221- 1537, აშშ | |
| პროდუქტის აღწერა და დახასიათება | *1. საწყისი მასალები:*<br><br>25 – 60 % - შაქრის ნეკერჩხალი(Acer saccharum):<br><br>10 – 40 % - მუხა (Quercus alba):<br><br>10 – 25 % - ჰიკორი (ოვალური თხილი) (Carya ovata)<br><br>0 – 15 % (საერთო რაოდენობა) - იფანი (Fraxinus americana), არყი (Betula papyrifera და Betula alleghanisensis), ალუბალი (Prunus serotina), წიფელი (Fagus grandifolia)<br><br>*2.სპეციფიკაციები:*<br><br>- pH – 2,15 – 2,6<br><br>- წყალი: 60,7 – 65,1 %<br><br>- მჟავა % ( ძმარმჟავით გამოხატული): 10,5 – 12,0 wt. %<br><br>- კარბონილის ნაერთები : 12,0- 17,0 wt.%<br><br>- ფენოლები : 10,0 – 15,0 მგ/მლ<br><br>*3. სისუფთავის კრიტერიუმები:*<br><br>- ტყვია: < 5,0 მგ / კგ<br><br>- დარიშხანი: < 3,0 მგ / კგ<br><br>- კადმიუმი: < 1,0 მგ / კგ<br><br>- ვერცხლისწყალი: <1,0 მგ / კგ | |
| გამოყენების პირობები | სურსათის კატეგორია | მაქსიმალური დონე (გ/კგ) |
| | 01.7. ყველი და ყველის პროდუქტები | 0,20 |
| | 08.1.2. ხორცის ნახევარფაბრიკატი/ დამზადებული ხორცი | 2,5 |
| | 08.2. გადამუშავებული ხორცი | 2,5 |
| | 09.2. გადამუშავებული თევზი და თევზჭერის პროდუქტი მოლუსკებისა და კიბოსნაირების ჩათვლით | 2,0 |
| | 09.3. თევზის ქვირითი (ხიზილალა) | 2,0 |
| | 12.2. მწვანილი, სანელებლები, სუნელები | 3,0 |
| | 12.6. სოუსები და მსგავსი პროდუქტები | 3,0 |
| | 15. მოხმარებისათვის მზა საუზმე (წასახემსებელი) და სნეკი (მსუბუქი საუზმე) | 3,0 |
| პროდუქტის ავტორიზაციის თარიღი | 2014 წლის პირველი იანვარი | |
| პროდუქტის ავტორიზაციის ვადა | 2024 წლის პირველი იანვარი | |

| | | |
|---|---|---|
| | | |
| უნიკალური კოდი | SF-006 | |
| პროდუქტის დასახელება | სმოკეზ ენვირო -23 (SmokEz Enviro-23) | |
| ავტორიზაციის მფლობელის დასახელება | Red Arrow Products Company LLC | |
| ავტორიზაციის მფლობელის მისამართი | P.O. Box 1537<br><br>633 South 20th street<br><br>Manitowoc, WI 54221- 1537, აშშ | |
| პროდუქტის აღწერა და დახასიათება | *1.საწყისი მასალები:*<br><br>25 – 65 % - შაქრის ნეკერჩხალი (Acer saccharum):<br><br>20 – 75 % - მუხა (Quercus alba):<br><br>0 – 15 % (საერთო რაოდენობა)- ჰიკორი (ოვალური თხილი) (Carya ovata), იფანი (Fraxinus americana), არყი (Betula papyrifera და Betula alleghanisensis), ალუბალი (Prunus serotina), წიფელი (Fagus grandifolia)<br><br>*2.სპეციფიკაციები:*<br><br>- pH – 2,8 – 3,2<br><br>- წყალი: 57,0 – 64,4 %<br><br>- მჟავა % ( ძმარმჟავით გამოხატული): 6,0 – 7,0 wt.%<br><br>- კარბონილის ნაერთები : 16,0- 24,0 wt.%<br><br>- ფენოლები : 10,0 – 16,0 მგ/მლ<br><br>*3. სისუფთავის კრიტერიუმები:*<br><br>- ტყვია: < 5,0 მგ / კგ<br><br>- დარიშხანი: < 3,0 მგ / კგ<br><br>- კადმიუმი: < 1,0 მგ / კგ<br><br>- ვერცხლისწყალი: <1,0 მგ / კგ | |
| გამოყენების პირობები | სურსათის კატეგორია | მაქსიმალური დონე (გ/კგ) |
| | 01.7. ყველი და ყველის პროდუქტები | 2,0 |
| | 08.1.2. ხორცის ნახევარფაბრიკატი/ დამზადებული ხორცი | 5,0 |
| | 08.2. გადამუშავებული ხორცი | 5,0 |
| | 09.2. გადამუშავებული თევზი და თევზჭერის პროდუქტი მოლუსკებისა და კიბოსნაირების ჩათვლით | 2,0 |
| | 09.3. თევზის ქვირითი (ხიზილალა) | 2,0 |
| პროდუქტის ავტორიზაციის თარიღი | 2014 წლის პირველი იანვარი | |

| | | |
|---|---|---|
| | | |
| პროდუქტის ავტორიზაციის ვადა | 2024 წლის პირველი იანვარი | |
| უნიკალური კოდი | SF-007 | |
| პროდუქტის დასახელება | ტრედისმოკ$^{TM}$ ე მაქს (Tradismoke $^{TM}$ A MAX) | |
| ავტორიზაციის მფლობელის დასახელება | Nactis | |
| ავტორიზაციის მფლობელის მისამართი | 36, rue Gutenberg – ZI La Marinière<br><br>91070 Bondoufle<br><br>საფრანგეთი | |
| პროდუქტის აღწერა და დახასიათება | *1.საწყისი მასალები:*<br><br>წიფელი (Fagus grandifolia)<br><br>*2. სპეციფიკაციები:*<br><br>- pH – 1,5 – 2,5<br><br>- წყალი: 50,0 – 58,0 wt.%<br><br>- მჟავა % ( ძმარმჟავით გამოხატული): 13,0 –16,0 wt.%<br><br>- კარბონილის ნაერთები : 17,0- 22,0 wt.%<br><br>- ფენოლები : 30,0 – 45,0 მგ/მლ<br><br>*3. სისუფთავის კრიტერიუმები:*<br><br>- ტყვია: < 5,0 მგ / კგ<br><br>- დარიშხანი: < 3,0 მგ / კგ<br><br>- კადმიუმი: < 1,0 მგ / კგ<br><br>- ვერცხლისწყალი: <1,0 მგ / კგ | |
| გამოყენების პირობები | სურსათის კატეგორია | მაქსიმალური დონე (გ/კგ) |
| | 01.4. არომატიზებული ფერმენტირებული რძის ნაწარმი, მათ შორის თერმულად დამუშავებული პროდუქტები | 1,0 |
| | 01.6.3. ნაღების სხვა კატეგორიები | 1,0 |
| | 01.7.3. ყველის საჭმელად ვარგისი ზედაპირი | 1,0 |
| | 01.7.5. გადამუშავებული ყველი | 1,0 |
| | 02. ცხიმები და ზეთები, ცხიმისა და ზეთის ემულსიები | 1,0 |
| | 08.1.2. ხორცის ნახევარფაბრიკატი/ დამზადებული ხორცი | 4,0 |
| | 08.2. გადამუშავებული ხორცი | 4,0 |
| | 09.2. გადამუშავებული თევზი და თევზჭერის | |

| | | |
|---|---|---|
| | პროდუქტი მოლუსკებისა და კიბოსნაირების ჩათვლით | 4,0 |
| | 09.3. თევზის ქვირითი (ხიზილალა) | 4,0 |
| | 12.2. მწვანილი, სანელებლები, სუნელები | 1,0 |
| | 12.5. სუპები და ბულიონები | 0,50 |
| | 12.6. სოუსები | 1,0 |
| | 14.1. უალკოჰოლო სასმელები | 0,10 |
| | 14.2. ალკოჰოლიანი სასმელები, მათ შორის მათი უალკოჰოლო ან დაბალალკოჰოლიანი შემცვლელები (ანალოგები) | 0,10 |
| | 15. მოხმარებისათვის მზა საუზმე (წასახემსებელი) და სნეკი (მსუბუქი საუზმე) | 1,0 |

| | |
|---|---|
| პროდუქტის ავტორიზაციის თარიღი | 2014 წლის პირველი იანვარი |
| პროდუქტის ავტორიზაციის ვადა | 2024 წლის პირველი იანვარი |
| უნიკალური კოდი | SF-008 |
| პროდუქტის დასახელება | პროფაგუს - სმოკ რ709 (proFagus-Smoke R709) |
| ავტორიზაციის მფლობელის დასახელება | ProFagus Gmbh |
| ავტორიზაციის მფლობელის მისამართი | Uslarer Strasse 30<br><br>37194 Bodenfelde<br><br>გერმანია |
| პროდუქტის აღწერა და დახასიათება | *1. საწყისი მასალები:*<br><br>- 90 % ევროპული წიფელი (Fagus sylvatica),<br><br>- 10 % მუხა (Quercus alba)<br><br>*2. სპეციფიკაციები:*<br><br>- pH – 2,0 – 2,5<br><br>- წყალი: 76,7 – 83,5 %<br><br>- მჟავა ( ძმარმჟავით გამოხატული): 10,5 –12,5 მგ/ლ<br><br>- კარბონილის ნაერთები : 5,0- 10,0 wt.%<br><br>- ფენოლები : 5,0 – 10,0 wt.%<br><br>*3. სისუფთავის კრიტერიუმები:*<br><br>- ტყვია: < 5,0 მგ / კგ<br><br>- დარიშხანი: < 3,0 მგ / კგ<br><br>- კადმიუმი: < 1,0 მგ / კგ |

| | | |
|---|---|---|
| | - ვერცხლისწყალი: <1,0 მგ / კგ | |
| გამოყენების პირობები | სურსათის კატეგორია | მაქსიმალური დონე (გ/კგ) |
| | 01.7. ყველი და ყველის პროდუქტები | 2,5 |
| | 02. ცხიმები და ზეთები. ცხიმისა და ზეთის ემულსიები | 0,002 |
| | 03. საკვებად განკუთვნილი ყინულები | 0,005 |
| | 04.2. ხილი და ბოსტნეული გადამუშავებული | 0,55 |
| | 05. საკონდიტრო ნაწარმი | 0,10 |
| | 08.1.2. ხორცის ნახევარფაბრიკატი/ დამზადებული ხორცი | 2,5 |
| | 08.2. გადამუშავებული ხორცი | 2,5 |
| | 09.2. გადამუშავებული თევზი და თევზჭერის პროდუქტი მოლუსკებისა და კიბოსნაირების ჩათვლით | 2,5 |
| | 09.3. თევზის ქვირითი (ხიზილალა) | 2,5 |
| | 12.2. მწვანილი, სანელებლები, სუნელები | 4,0 |
| | 12.4. მდოგვი | 0,10 |
| | 12.5. სუპები და ბულიონები | 0,28 |
| | 12.6. სოუსები | 1,5 |
| | 12.7. სალათები და არომატიზებული სპრედები ბუტერბროდისათვის | 0,40 |
| | 14.1. უალკოჰოლო სასმელები | 0,10 |
| | 14.2. ალკოჰოლიანი სასმელები, მათ შორის მათი უალკოჰოლო ან დაბალალკოჰოლიანი შემცვლელები (ანალოგები) | 0,02 |
| | 15. მოხმარებისათვის მზა საუზმე (წასახემსებელი) და სნეკი (მსუბუქი საუზმე) | 2,5 |
| პროდუქტის ავტორიზაციის თარიღი | 2014 წლის პირველი იანვარი | |
| პროდუქტის ავტორიზაციის ვადა | 2024 წლის პირველი იანვარი | |
| უნიკალური კოდი | SF-009 | |
| პროდუქტის დასახელება | ფუმოკომპ (Fumokomp) | |
| ავტორიზაციის მფლობელის დასახელება | Kompozíció Kft | |
| ავტორიზაციის მფლობელის მისამართი | Kompozíció Kft, 2053 Herceghalom, უნგრეთი | |
| | *1. საწყისი მასალები:* | |

| | | |
|---|---|---|
| პროდუქტის აღწერა და დახასიათება | - 85 % ევროპული წიფელი (Fagus sylvatica),<br><br>- 15 % ევროპული რცხილა (Carpinus betulus)<br><br>*2. სპეციფიკაციები:*<br><br>- წყლის შემცველობა < 2 w/w %<br><br>- მჟავა % ( ძმარმჟავით გამოხატული): 1,0 – 8,0 w/w %<br><br>- კარბონილის ნაერთები : 25,0- 30,0 w/w %<br><br>- ფენოლები : 15,0 – 60,0 w/w %<br><br>*3. სისუფთავის კრიტერიუმები:*<br><br>- ტყვია: < 5,0 მგ / კგ<br><br>- დარიშხანი: < 3,0 მგ / კგ<br><br>- კადმიუმი: < 1,0 მგ / კგ<br><br>- ვერცხლისწყალი: <1,0 მგ / კგ | |
| | სურსათის კატეგორია | მაქსიმალური დონე (გ/კგ) |
| | 01.4. არომატიზებული ფერმენტირებული რძის ნაწარმი, მათ შორის თერმულად დამუშავებული პროდუქტები | 0,06 |
| | 01.6.3. ნაღების სხვა კატეგორიები | 0,06 |
| | 01.7. ყველი და ყველის პროდუქტები | 0,06 |
| | 01.8. რძის ანალოგები, მათ შორის გამათეთრებლები სასმელებში გამოსაყენებლად (გრანულები ან თხევადი ფორმით) | 0,06 |
| | 02. ცხიმები და ზეთები. ცხიმისა და ზეთის ემულსიები | 0,06 |
| | 03. საკვებად განკუთვნილი ყინული | 0,06 |
| | 04.2. ხილი და ბოსტნეული გადამუშავებული | 0,06 |
| | 05. საკონდიტრო ნაწარმი | 0,06 |
| | 06.3. საუზმე მარცვლოვნების ფუძეზე (საფუძველზე) ბურღულეული | 0,06 |
| | 06.4.5. მაკარონის ნაწარმი შიგთავსით (რავიოლი და მსგავსი) | 0,06 |
| | 06.5.ვერმიშელი (ლაფშა) | 0,06 |
| | 06.6. ფქვილნარევი, ათქვეფილი ნახევრად თხევადი ან თხევადი ნაწარმი პანირებისათვის | 0,06 |
| | 06.7.წინასწარ მომზადებული ან გადამუშავებული მარცვლოვნები | 0,06 |
| | 07.1. პური და ფუნთუშეული | 0,06 |
| | 07.2. კაზმული პურფუნთუშეულის ნაწარმი | 0,06 |

| | | |
|---|---|---|
| გამოყენების პირობები | 08.ხორცი | 0,06 |
| | 09.2. გადამუშავებული თევზი და თევზჭერის პროდუქტი მოლუსკებისა და კიბოსნაირების ჩათვლით | 0,06 |
| | 09.3. თევზის ქვირითი (ხიზილალა) | 0,06 |
| | 10.2. გადამუშავებული კვერცხი და კვერცხის პროდუქტები | 0,06 |
| | 12.2. მწვანილი, სანელებლები, სუნელები | 0,06 |
| | 12.3. ძმარი | 0,06 |
| | 12.4. მდოგვი | 0,06 |
| | 12.5. სუპები და ბულიონები | 0,06 |
| | 12.6. სოუსები | 0,06 |
| | 12.7. სალათები და სპრედები სენდვიჩისათვის | 0,06 |
| | 12.9. ცილოვანი პროდუქტები, გარდა 01.8 კატეგორიით განსაზღვრული პროდუქტებისა | 0,06 |
| | 13.3. დიეტური სურსათი წონის კონტროლისათვის, რომელიც გამიზნულია საკვების დღიური ნორმის სრულად ან ნაწილობრივ ჩასანაცვლებლად (სრული დღიური დიეტის ან ნაწილის) | 0,06 |
| | 13.4. სურსათი, რომლის მოხმარება შეუძლია მომხმარებელს, რომელსაც აქვს გლუტენის (წებოგვარა) აუტანლობა | 0,06 |
| | 14.1.4. არომატიზებული სასმელები | 0,06 |
| | 14.1.5.2. სხვა (სასმელები) | 0,06 |
| | 14.2. ალკოჰოლური სასმელები, უალკოჰოლო და დაბალალკოჰოლიანი სასმელები | 0,06 |
| | 15. მოხმარებისათვის მზა საუზმე (წასახემსებელი) და სნეკი (მსუბუქი საუზმე) | 0,06 |
| | 16. დესერტები გარდა 01, 03 და 04 კატეგორიებით განსაზღვრული პროდუქტებისა | 0,06 |
| პროდუქტის ავტორიზაციის თარიღი | 2014 წლის პირველი იანვარი | |
| პროდუქტის ავტორიზაციის ვადა | 2024 წლის პირველი იანვარი | |
| უნიკალური კოდი | **SF-010** | |
| პროდუქტის დასახელება | **ამ 01 (AM 01)** | |
| ავტორიზაციის მფლობელის დასახელება | AROMARCO, s.r.o | |
| ავტორიზაციის მფლობელის მისამართი | Mlynská 15<br>929 01 Dunajská Streda | |

| | | |
|---|---|---|
| | სლოვაკეთი | |
| პროდუქტის აღწერა და დახასიათება | *1. საწყისი მასალები:*<br><br>- ევროპული წიფელი (Fagus sylvatica),<br><br>*2. სპეციფიკაციები:*<br><br>-გამხსნელი : ეთანოლისა და წყლის ნარევი ( დაახლოებით 60/40 wt. % )<br><br>- მჟავა ( ძმარმჟავით გამოხატული): 3,5 –5,2 გ/კგ<br><br>- კარბონილის ნაერთები : 6,0- 10,0 გ/კგ<br><br>- ფენოლები : 8,0 – 14,0 გ/კგ<br><br>*3. სისუფთავის კრიტერიუმები:*<br><br>- ტყვია: < 5,0 მგ / კგ<br><br>- დარიშხანი: < 3,0 მგ / კგ<br><br>- კადმიუმი: < 1,0 მგ / კგ<br><br>- ვერცხლისწყალი: <1,0 მგ / კგ | |
| გამოყენების პირობები | სურსათის კატეგორია | მაქსიმალური დონე (გ/კგ) |
| | 01.4.არომატიზებული ფერმენტირებული რძის ნაწარმი, მათ შორის თერმულად დამუშავებული პროდუქტები | 0,60 |
| | 01.6.3. ნაღების სხვა კატეგორიები | 0,60 |
| | 01.7. ყველი და ყველის პროდუქტები | 0,60 |
| | 01.8. რძის ანალოგები, მათ შორის გამათეთრებლები სასმელებში გამოსაყენებლად (გრანულები ან თხევადი ფორმით) | 0,60 |
| | 02. ცხიმები და ზეთები. ცხიმისა და ზეთის ემულსიები | 0,40 |
| | 08.1.2. ხორცის ნახევარფაბრიკატი/ დამზადებული ხორცი | 0,85 |
| | 08.2. გადამუშავებული ხორცი | 0,85 |
| | 09.2. გადამუშავებული თევზი და თევზჭერის პროდუქტი, მოლუსკებისა და კიბოსნაირების ჩათვლით | 0,80 |
| | 09.3. თევზის ქვირითი (ხიზილალა) | 0,80 |
| | 14.2. ალკოჰოლიანი სასმელები, მათ შორის მათი უალკოჰოლო ან დაბალალკოჰოლიანი შემცვლელები (ანალოგები) | 0,02 |
| | 15. მოხმარებისათვის მზა საუზმე (წასახემსებელი) და სნეკი (მსუბუქი საუზმე) | 1,30 |
| პროდუქტის ავტორიზაციის თარიღი | 2014 წლის პირველი იანვარი | |

| | |
|---|---|
| პროდუქტის ავტორიზაციის ვადა | 2024 წლის პირველი იანვარი |